



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოხისი

მოხისი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში (თონეთის ადმ. ერთეული), მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე. მდ. ალგეთის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1360 მ. თეთრი წყაროდან 52 კმ. მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს (2014). სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

მ. ისტ. დოკუმენტებში იხსენიება XIV ს-იდან, როგორც სვეტიცხოვლის კუთვნილება. მასზე გადიოდა უმოკლესი გზა მანგლისიდან მცხეთისაკენ. გადმოცემით **მ**-ს ადრე კველეთი ერქვა. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ე. წ. აგარაკების ტერიტორიაზე, დგას X-XI სს. სამების დარბაზული ეკლესია (9,3 მ X 5,4 მ). აღმ. სარკმელზე ამოკვეთილია სამშენებლო წარწერა, სადაც იხსენიებიან ალმაოტის ძენი – კვირიკე, თევდორე და ბემქენ. XIX ს. ბოლოს ეკლესია განუახლებია იოსებ ყავრიშვილს, რ-იც ამავე ტაძარშია დაკრძალული. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 1983-84.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958; გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ი., გ ო გ ო ლ ა ძ ე თ., X-XI საუკუნეების უცნობი წარწერა მოხისის სამების ეკლესიიდან, კრ.: მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, [ტ.] 25, თბ., 2015; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, თბ., 1964.

თ. თოდრია
